



N 1087/01  
10/02/2021

1087-01-2-202102101134



**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას**

გაცნობებთ, რომ 2020 წლის 7 დეკემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შპს „მშენებელი 2020“-ის მიერ წარმოდგენილი იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელში სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) პროექტის სკოპინგის ანგარიში. გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, სამინისტრომ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების შესახებ (იხ. ლინკი - <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/31462>). აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 5 თებერვალს შპს „მშენებელი 2020“-მა სამინისტროში წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია (წერილი N 1557).

განცხადება დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ლინკი - <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/31476>).

აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 18 თებერვლის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6 ან ელ. ფოსტის მისამართზე: [eia@mepa.gov.ge](mailto:eia@mepa.gov.ge)

გიგზავნით ზემოაღნიშნულ განცხადებას. გთხოვთ, უზრუნველყოთ განცხადების განთავსება თქვენი აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

**დანართი: ტექსტის თანახმად.**

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

